MES 7 23 0000391202

06/04/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23.03.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო:18:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
5. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
6. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
7. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი

9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
10. ქ**ეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
15. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
16. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.
17. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები
აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, VIII
4	ნათია კუპრაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

5	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
6	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII
7	თამარ ჩოკორაია	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
8	ნინო პატარია	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
9	ანა ყიასაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
10	გიორგი ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დ აწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ლევან ჯაყელი		დეკანი	I
3	ირაკლი გორგილაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ნათელა წიკლაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი	II
5	მურმან ცეცხლაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II
6	სალომე პირველი	შპს - თბილისის თავისუფალი აკადემია	რექტორი	III
7	ანჟელა აბულაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
8	ნანა ქირია		პროგრამის ხელმძღვანელი	III
9	ლუკა დვალიშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი	IV
10	ნესტან კუტივაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
11	რუსუდან საღინაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
12	ავთანდილ ნიკოლეიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
13	ზაალ კიკვიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
14	ეკა დადიანი		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
15	ნინო ჩიხლაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
16	ნანული კაკაურიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
17	თეა კორძაძე		ხარისხის უზრუნველყოფის	IV

			სამსახურის უფროსი	
18	ნანა შონია		დეკანი	VII, VIII
19	ზვიად ბეშკენაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	VII, VIII
20	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV, V
21	ხათუნა მხეიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	IV, V
22	ივანე ჯაგოდნიშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	IV, V
23	ნუგზარ წერეთელი		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	IV, V
24	მაია მშვილდაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	IV, V
25	ეკატერინე შაკიაშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V
26	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V
27	ირინა მამალაძე		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მენეჯერი	IV, V
28	ზურაბ საბაშვილი		მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და ლითონთა დამუშავების“ დეპარტამენტის უფროსი	IV, V
29	გიგლა გობეჩია		ასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის" მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V
30	ნიკოლოზ ლოლაძე		მასალათმცოდნეობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V
31			ასოცირებული პროფესორი	IV, V

	სოფიკო კვანტალიანი			
32	თამარ მალაღურაძე		ასოცირებული პროფესორი	IV, V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
3. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო, „ქართული ლიტერატურის", "ლინგვისტიკის" და "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხი.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო, „ქართული ლიტერატურის", "ლინგვისტიკის" და "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხი მე-4 საკითხად განსაზღვრის შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
3. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო, „ქართული ლიტერატურის", "ლინგვისტიკის" და "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხი.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.01.2022, გადაწყვეტილება №51193
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის 35, ბათუმი 6010, საქართველო, ბსუ მე-2 კორპუსი, მე-5 სართული
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს - ერმილე მესხიამ და თამარ სირაძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი (2022 წლის 30 დეკემბრამდე), საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 30 დეკემბერს. შესაბამისად, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ანგარიში წარმოადგინა 27 დეკემბერს 2022 წელს. როგორც აღნიშნულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში, შესასრულებელი რეკომენდაციების და რჩევების ანგარიშის მომზადების პროცესი დაიწყო 2022 წლის მაისიდან. გაცემული რეკომენდაციების და რჩევების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმის შედგენა განხორციელდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. სამუშაო პროცესის ფარგლებში მოხდა შესასრულებელი რეკომენდაციების განხილვა და პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპების დადგენა. აღნიშნული ცვლილებები განხილული და დადასტურებული იქნა იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ. მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა შესასარულებელი რეკომენდაციები და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები როგორც პროგრამაში და სილაბუსებში, ისე დანარჩენ დოკუმენტაციაში, როგორიცაა ბიუჯეტი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ანგარიშისთვის წარსადგენი დოკუმენტაციის პაკეტი დამტკიცდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით 14 ივლისს 2022 წლის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები დაწესებულებამ მიიღო სახელმძღვანელოდ და დაიწყო მათი შესრულება. დაწესებულება აღნიშნავს, რომ ყველა რეკომენდაცია იყონ პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული და შესაბამისად, უნივერსიტეტმა თითოეული მატგანი გაითვალიწინა და გაატარა აუცილებელი ცვლილებები.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსებს, კერძოდ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა სილაბუსებში ლიტერატურასთან მიმართებით დეტალური ინფორმაციის მითითებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე მომუშავე პერსონალის განცხადებით, რეკომენდაცია არ უნდა ეხებოდეს ყველა სილაბუსს, ვინაიდან სააკრედიტაციოდ წარდგენილი სილაბუსების

ნაწილი ამას უკვე ითვალისწინებდა. ამასთან, აკადემიური პეროსნალის ნაწილმა უკვე მიუთითა დეტალური ინფორმაცია, თუმცა მეორე ნაწილმა აკდემიურ თავისუფლების ფარგლებში ჩათვალა რომ მხოლოდ მითითება უნდა გაეკეთებინა ლიტერატურაზე. ამ პოზიციას საფუძველს უქმნის თვად უნივერსიტეტში არსებული რეგულაცები, რომლის მიედვით არ არის გამოკვეთილი სავალდებულო გვერდებით მითითების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განმარტა, რომ მოცემული რეკომენდაცია ნაკლებად გულისხმობს გვერდების დაზუსტების საკითხს, საუბარია ძირითადად ლიტერატურის რელევანტურობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რეკომენდაციის განმარტებით ნაწილში მოცემული იყო თემატიკის დეტალიზაცია, შესაბამისად, რომელ საგნებსაც მიემართებოდა აღნიშნული საკითი უკვე მოხდა თემატიკის დეტალიზაცია, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილ ყველა სილებუსს აღნიშნული არ ეხებოდა. რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს, აღნიშნული ეხებოდა გვერდების მითითებას, რასთან დაკავშრებთაც დაწესებულებამ უკვე წარმოადგინა თავისი პოზოცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:22
დასრულების დრო: 14:30

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს კვლავ დარჩა კითხვები პროგრამასთან დაკავშირებით და მოუწოდა ექპსერტს ესაუბრა მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ანგარიშის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რეკომენდაციაში არსებული კურსები აისახა პროგრამაში და გახდა შესაბამისი კურსების წინაპირობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:34
დასრულების დრო: 14:39

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ "საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

2. მეორე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა/ ECONOMICS
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.01.2022, გადაწყვეტილება №51212
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი / MASTER OF ECONOMICS
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ბათუმი, ნინოშვილის ქ.35/ რუსთაველის ქ.32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს - ერმილე მესხიამ და თამარ სირაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ,,ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2028 წლის 30 დეკემბრამდე მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 30.12.2021. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 30 დეკემბერი. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები. კერძოდ ჩატარდა შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით წარმოდგენილი იქნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით გაიწერა პასუხისმგებელი პირები, ვადები და ინდიკატორები საგანმანათლებო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში დაიხვეწა სწავლის შედეგები, გაუმჯობესდა სწავლის შედეგების რუკა, დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა, განახლდა ლიტერატურა, გაუმჯობესდა სასწავლო კურსების შეფასების სისტემა, გაუმჯობესდა შიდა მონიტორინგის მექანიზმი, გაუმჯობესდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა.
დაწესებულების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად უზრუნველყოფილი პროგრამის გაუმჯობესების მიუხედავად მნიშვნელოვანია ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მაკროეკონომიკის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები საჭიროებს მეტად დახვეწას.
2. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ინტეგრირება. სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.
3. რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას. სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებასა და აკადემიური სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება იღებს პასუხისმგელობას, რომ აუცილებლად მიმართოს მთელი ძალისხმევა ყველა იმ რეკომენდაციის შესასრულებლად, რომელსაც ადასტურებს

აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ დაწესებულება ექსპერტს არ ეთანხმება იმ შეფასებაში, როდესაც ის აღნიშნავს, რომ ცალკეული რეკომენდაციები არ არის იმ ხარისხით შესრულებული, როგორც ამას თავად რეკომენდაცია განსაზღვრავს.
დაწესებულებს წარმომადგენელმა ისაუბრა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ხარისხსა და ხარისხის განვითარებას და აღნიშნა, რომ ბათუმის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა ასევე გარე შეფასების მექანიზმებს. მონიტორინგის სისტემაში დაწესებულება იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ საშუალებებს, რომელიც მოცემულია ელექტრონულ პორტალზე, სადაც განსაზღვრულია გამოკითხვის შედეგები, რომლის დამუშავება და ანალიზი მუდმივად მიმდინარეობს. მონიტორინგის ნაწილში ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, გამოკითხვის შედეგების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის, სასწავლო და საგამოცდო მასალების, გამოცდის შედეგების, საგამოცდო პროცესისა და სასწავლო პროცესის შეფასება და ანალიზი. მოცემულ მონიტორინგის პროცესში მონაწილეობს როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელების და სრულიად ფაკულტეტი. გარდა ამისა, პერიოდულად ტარდება გამოკითხვები. გამომდინარე იქიდან, რომ აკრედტაციის ვიზიტის დროს ყველა ეს პროცესი იყო შეფსებული და შესაბამისად, ვინაიდან რეკომენდაცა ეხებოდა იმას, რომ მომხდარიყო მონიტორინგის სისტემის განვითარება, დაწესებულებამ წარმოდგენილ თვითშეფასებაში ასახა რეკომენდაციებთან დაკავშრებული ყველა ის სიახლე, რაც ერთი წლის განმავლობაში გაატარა დაწესებულებამ.
რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებში თანამედროვე კვლევების გამოყენებას, აღნიშნული არის ვალდებულება და აუცილებელი პირობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა. რადგანაც დასკვნაში მოცემული იყო აღნიშნული რეკომენდაცია, დაწესებულებამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საუნივერსიტეტო მასშტაბით განსაზღვრა, რომ სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე მაგისტანტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ნაწილი იქნება მოხსენეიებული საუნივერსიტეტო ან სხვა სამეცნიერო კონფერენციაზე. გარდა ამისა, ფაკულტეტმა ამ მიმართულებით დაგეგმა რიგი ღონისძიებები, იმისათვის, რომ სრულიად მომხდარიყო რეკომენდაციების გათვალისწინება.
ამასთან, რეკომენდაციის მიხედვით რამოდენიმე სასწავლო კურსში საჭირო იყო სწავლის შედეგების ფორმულირების განვითარება. ექსპერის შეფასების მიხედვით ცალკეულ სასწავლო კურსებში განცორციელებული რეფორმულირება მისაღებია, თუმცა ერთ სასწავლო კურსთან დაკავშიებით გააკეთა ჩანაწერი, რომ საჭიროებს დახვეწას, მაგრამ კონკრეტულად რაზე არის საუბარი არ არის მოცემული.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა 23 სასწავლო კურსის სილაბუსს. დაწესებულებამ თითოეული მათგანი გადაამუშავა, რაც გამოგზავნილი იქნა ექსპერტისთვის, თუმცა ,,მაკრო ეკონომიკის" წარმოდგენილი სილაბუსი ატვირთული იქნა სამუშაო ვარიანტი, ვინაიდნა ამის შემდეგნ სილაბუსი კიდევ ჩასწორდა, დამუშავდა და დამატებული იქნა პროგრამაში.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისთვის გაგზავნილი ნაშრომები იყო შესრულებული 2017-2018 წელს, შესაბამისად, შენიშვნები იყო აბსოლუტურად რეაულირი რიგ სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით. თუმცა, ამის შემდგომ რიგ პირობები შეიცვალა, გარდა იმისა, რომ დაწესებულება მუდმივად მუშაობს ხელმძღვანელებთან აკადემიური ხარისხის ამაღლების კუთხით, 2022 წლის 13 აპრილს აღნიშნული საკიტხი გატანილი იქნა საბჭოს სხდომაზე, სადაც პერსონალთან ერთად დადგინდა რომ კვლევისთვის აუცილებლად გამოყენებული იქნად უახლესი ლიტერატურა, რათა გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი სამაგისტორ ნაშრომებში. შესაბამისად, დღეს უკვე აღნიშნული ხორციელდება. მოცემულ პროცესს ასვე ხელი შეუწყო წიგნადი ფონდის განახლების პროცესმა, რომელიც მიმდინარეობს დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია არ გულისხმობს ხარისხის მართვის მექანიზმთან დაკავშრებულ პრობლემას, საკითხი ეხება სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხს. მოცემული რეკომენდაციების დატოვება ორი ფატქორით იყო გამოწვეული, პირველი ფატქორი იყო არსებული მტკიცებულებები, ხოლო მეორე, ის, რომ დაწესებულების წარმომადგენლები თვითშეფასებაში აღნიშნავდნენ იმას, რომ მიმდინარეობს ამ რეკომენდაციების შესრულების პროცესი. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, მოცემული ეხებოდა სწავლის შედეგების გაზომვადობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:17

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით შუამდგომლობა 60 კალენდარული დღის ვადაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ არ იქნა მიღებული ცნობად და მიმართა ცენტრს აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

3. მესამე საკითხი : შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.01.2022, გადაწყვეტილება №76907
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	IV

9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისის თავისუფალი აკადემია, ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძის ქუჩა №46, №1, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ღაღანიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია რეკომენდაციების დიდი უმრავლესობა. ერთ რეკომენდაციაზე: „რეკომენდებულია, სილაბუსებში შესასწავლ საკითხებთან/თემებთან ერთად მითითებული იყოს შესაბამისი თემისათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი“, უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ გაითვალისწინა, თუმცა სილაბუსების გაცნობისას ირკვევა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებიც უნივერსიტეტმა დამატებით წარმოადგინა ანგარიშისათვის, არ არის მითითებული შესასწავლ საკითხებთან/თემებთან ერთად შესაბამისი თემისათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი. ამასთან, ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ერთ რჩევაზე, ხოლო ორ რჩევაზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია. პროგრამას დაემატა დარგობრივი სავალდებულო-არჩევითი კურსები: „დარგობრივი ქართული ენა ბიზნესის

ადმინისტრირების მიმართულებით“; „დარგობრივი ქართული ენა ფსიქოლოგიის მიმართულებით“; „დარგობრივი ქართული ენა სამართლის მიმართულებით“. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სამივე დარგობრივი საგნის სილაბუსი. სილაბუსების გაცნობის დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა სასწავლო კურსები ენისა და საგნის ინტეგრირების მეთოდით და სასწავლო კურსები ორიენტირებულია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებაზე, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიყენოს გამოცდილება, რომელიც ამ მიმარულებით დაგროვდა ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო პროგრამებში სხვასდასხვა უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ სილაბუსებში მითითებულია როგორც სავალდებულო ასევე დამატებითი ლიტერატურა, შესაბამისად, დაწესებულებამ სავალდებულოდ არ მიიჩნია დეტალურად გვერდების მითითება. თუმცა დაწესებულება რა თქმა უნდა გაითვალისიწნებს აღნიშნულ რეკომენდაციას მომავალში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მარინა ქავთარაძემ დააზუსტა თუ რამდენი სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე და ასევე მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმერტათ თუ რამდეანდ მართებულია მათი მხრიდან რიგი სახელმძღვანელოებისა და დეტალური გვერდების არ მითითება.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე -ჯიშკარიანმა აღნიშნა მე-3 რეკომენდაცია და განმარტა, რომ წინა საბჭოს რეკომენდაცია იყო სილაბუსში შესასწავლ თემებთან ერთად მითითებული ყოფილიყო შესაბამისი რესურსი, ანუ აქ საუბარი არ იყო კონკრეტული წიგნის გვერდებზე. ინსტიტუციამ თვითშეფასებაში მიუთითა, რომ მან ეს განსაზღვრა თითოეული კვირის მიხედვით, თუმცა ექსპერტის შეფასების მიხედვით, გამოგზავნილ დოკუმენტაციაში არ დასტურდება სილაბუსში შესაბამისი თემებისთვის გათვალისწინებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექპსერტს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამას ჰყავს 10 სტუდენტი, რომელთაგანაც აქტიური სტატუსი აქვს 8 სტუდენტს. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, სილაბუსში მითითებულა ყველა წიგნი, თუმცა დანართში სადაც უკვე ქულები არის ჩაშლილი არ არის აღნიშნული მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია გულისხმობს წყაროების მითითებას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან მას საბოლოოდ გავლენა აქვს სწავლის შედეგებზე. მიუხედავად ამისა, სილებუსებში დეტალურად საკითხი არ არის განსაზღვრული, კერძოდ არც რესურსებია მითითებული და არც გვერდები, მითითებულია მხოლოდ თემები, რაც ისედაც იყო და ახლაც არის. თუმცა დამატებითი რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, მოსასმენები, ბმულები და ტექსტები არ არის მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა საკითხთან დაკავშრებით განმარტა, რომ სილებუსებში მითიტებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და ამასთან ყველა ის ჩამონათვალი წიგნი, ბმული თუ რესურსი, რაც კონკრეტულ თემებზე არის გათვლილი, თუმცა ცალკე თემატიკის მიხედვით აღნიშნული არ არის ჩაშლილი და ცალ-ცალკე მითითებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:37
დასრულების დრო: 15:47

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაკავშირებით შუამდგომლობა 60 კალენდარული დღის ვადაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის „ქართულ ენაში მომზზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ არ იქნა მიღებული ცნობად და მიმართა ცენტრს აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

4. მეოთხე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო, „ქართული ლიტერატურის", "ლინგვისტიკის" და "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხი.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ენა და ლიტერატურა Language and Literature
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.09.2011, №44
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in Georgian philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ლიტერატურა Georgian Literature
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012, №85
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში / Master of arts in Georgian Literature
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლინგვისტიკა Linguistics
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012, №99
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ლინგვისტიკაში / Master of Arts in Linguistics
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართველური ენათმეცნიერება / Georgian (Kartvelian) Linguistics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012, №87
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში / Master of Arts in Georgian (Kartvelian) Linguistics

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№253, 30.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი Doctor of Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში, როგორც უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი, ყველა ასპექტით ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული. დარგობრივი მახასიათებელი აღწერს სწავლის სფეროს, სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებს და სხვა დამატებით ინფორმაციას.
2. სამაგისტრო პროგრამა - „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ მიესადაგოს უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს ქართულ ფილოლოგიაში. მახასიათებელში

მითითებულია, რომ მეგრული, ლაზური, სვანური ენებია და არა ქართველური ენა-დიალექტები (მეგრულ-ლაზური, სვანური), როგორც ეს მითითებულია სასწავლო პროგრამაში- ქართული (ქართველური ლინგვისტიკა).

3. სილაბუსებში უნდა შევიდეს უახლესი პუბლიკაციები და შეიცვალოს რუსულ ენაზე წარმოდგენილი უფრო ძველი გამოცემები.
4. მიზანშეწონილია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ქართველური ლინგვისტიკის ნაწილში მოიცავდეს დარგის აღიარებულ სამეცნიერო ტენდენციებს და მიმართულებებს.
5. მიზანშეწონილია სასწავლო კურსი „ქართული დიალექტოლოგია“ შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს.
6. რეკომენდებულია ქართული დიალექტებისა და ქართველური ენების სტატუსის დადგენა საბაკალავრო სასწავლო პროგრამის „ქართული ენა და ლიტერატურა“ ფარგლებში და სტუდენტური პრაქტიკის განხორციელებისას ყურადღება მიექცეს აღნიშნულ გარემოებებს.
7. ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში „ქართული ენა და ლიტერატურა“ რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში თემატური გადაფარვების თავიდან აცილება.
8. სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურა ინტერნეტ სივრცეში“ უნდა გადამუშავდეს ისე, რომ დაზუსტდეს მისი მიზნები და შესაბამისობა სწავლის შედეგებთან.
9. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სახელები და შინაარსი შეესაბამებოდეს სფეროში დადგენილ ტერმინოლოგიას, რათა თავიდან იქნას აცილებული სამეცნიერო კვლევის გაურკვევლობა და მარგინალიზაცია.
10. საჭიროა დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამისთვის "ლინგვისტიკა" და სადოქტორო პროგრამისთვის „ფილოლოგია“ და მოიცვას სავალდებულო ბიბლიოგრაფია ინგლისურ ენაზე.
11. რეკომენდებული სასწავლო კურსები „საერთო ქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემიკური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“, „ქართული ტრილიტერატურული ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებაში)“ უნდა გადამუშავდეს ისე, რომ შეესაბამებოდეს ტერმინოლოგიას, რომელიც მიღებულია ენათმეცნიერების სფეროში.
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ლინგვოკულტუროლოგიის“ გადახედვა და დოქტორანტურის შესაბამისი შინაარსისა და უახლესი ლიტერატურის შეტანა.
13. სასურველია სასწავლო კურსი „ლინგვოკულტუროლოგიის“ სათაური შეიცვალოს, როგორც „ენა და კულტურა“.
14. აკადემიური წერა უნდა გაუმჯობესდეს ბაკალავრიატის დონეზე.
15. სამაგისტრო ნაშრომებში უნდა დაიხვეწოს ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა, სამეცნიერო ტერმინოლოგია.
16. რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომი შეიქმნას თანამედროვე კვლევის დიზიანის შესაბამისად.
17. სადოქტორო ნაშრომებს თან უნდა ერთვოდეს რეზიუმეები ინგლისურ ენაზე.
18. სამაგისტრო პროგრამაზე „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებლებს და უზრუნველყოფდეს მათ მიღწევას.
19. დაწესებულებამ უნდა წაახალისოს აკადემიური პერსონალი, გამოაქვეყნოს სტატიები დოქტორანტებთან ერთად. დოქტორანტებისთვის სასარგებლო იქნება მათი ხელმძღვანელის რჩევები კვლევით პუბლიკაციებში. ეს გამოიწვევს მაღალი ხარისხის პუბლიკაციებს უნივერსიტეტის სახელით.

20. „ქართულ (ქართველურ) ლინგვისტიკაში“ და „ლინგვისტიკაში“ აკადემიური პერსონალი არ არის საკმარისი რაოდენობის, რადგან სამაგისტრო დონეზე პროგრამების ხელმძღვანელები უძღვებიან ძალიან ბევრ კურსს, რომელიც დაბალანსებული უნდა იყოს საგნებისა და სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.
21. მისაღები მსგავსების ქულა (პროგრამიდან Turnitin) არ უნდა იყოს მითითებული პლაგიატის საკითხებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებულ დოკუმენტში. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის ყველა ნაშრომში მსგავსებისა და პლაგიატის შესახებ შემთხვევები უნდა გაანალიზდეს და განიხილებოდეს ინდივიდუალურად და უკუკავშირის მიწოდებით, რამდენადაც პლაგიატის წილი ნაშრომში შეიძლება მსგავსების დაბალი პროცენტით გამოვლინდეს.
22. აუცილებელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის ხელმძღვანელს მისცეს მკაფიო რეკომენდაციები, რათა პროგრამა შესაბამისობაში იყოს დარგობრივ მახასიათებელთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პასუხისმგებელ პირს უნდა აჩვენოს ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი რისკის წარმოშობის ფაქტი.
23. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ადგილზე ვიზიტი შედგა 2023 წლის 16, 17 და 18 იანვარს ჰიბრიდულ ფორმატში. ქართველმა ექსპერტებმა შეძლეს უნივერსიტეტში ვიზიტი, ხოლო თავმჯდომარესთან და სხვებთან შეხვედრა ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (ცენტრი) მიერ მოწოდებული Zoom ბმულის საშუალებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან დაკავშირება იმავე Zoom ბმულის საშუალებით მოხდა. 16 იანვარს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა მოსამზადებელი შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან. ამ შეხვედრაზე განიხილეს და საკმარისად დაზუსტდა შეფასებასთან დაკავშირებული აუცილებელი საკითხები. ექსპერტთა ჯგუფს ეფექტურად ეხმარებოდნენ ცენტრის წარმომადგენლები, რომლებიც ფიზიკურად იმყოფებოდნენ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს. ცენტრმა უზრუნველყო ეფექტური სათარჯიმნო მომსახურება. ექსპერტთა ჯგუფი და, კონკრეტულად, თავმჯდომარე უღრმეს მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობდა ადგილზე ვიზიტის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ცენტრის წარმომადგენლებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ მთელი პროცესი შეუფერხებლად წარმართულიყო. ცენტრის წარმომადგენლები ხელმისაწვდომი იყვნენ ჯგუფის წევრებისთვის მთელი პროცესის განმავლობაში. ანგარიში დაიწერა მთელი გუნდის მიერ და მოეწყო რამდენიმე ონლაინ შეხვედრა, რათა უზრუნველყოფილიყო ზოგადი კონსენსუსის მიღწევა კომენტარებისა და შეფასებების შესახებ. ჯგუფის თავმჯდომარე უღრმეს მადლობას უხდის მთელ გუნდს აქტიური და ეფექტური მონაწილეობისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში გამოჩნდა, რომ უსდ ძირითადად ეთანხმება ექსპერტთა მოსაზრებებს და მათ უკვე დაიწყეს მუშაობა რეკომენდაციების შესრულებაზე, თუმცა 19-დან 23-ე რეკომენდაციები ჯერ კიდევ საჭიროებს შესრულებას. მისი თქმით, ძალიან კარგია, რომ უსდ იაზრებს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დარგობრივი მახასიათებლების იმპლემენტაციას და პროგრამებში გათვალისწინებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა მითითება გახლდათ, პატივი ეცათ უსდ-ში საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინოლოგიისთვის, მათ შორის, როდესაც საუბარი იყო მეგრულ, სვანურ და ლაზურ ენათა ჯგუფებზე, რაც გახლავთ ენები და არა დიალექტები. მისი თქმით, სადოქტორო საფეხურის სტუდენტები საჭიროებენ კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას სტატიების გამოქვეყნების ნაწილში, რაზე ზრუნვაც უნდა დაევალოს უშუალოდ აკადემიურ

პერსონალს ან ხელმძღვანელებს, რაც გაზრდის კვლევი პროფილს, როგორც უსდ-ში, ისე პროგრამებზე. ასევე, სამეცნიერო ენის გამოყენების კუთხით, კვლევის წერის დროს, საჭიროა ყურადღება მიექცეს პლაგიატის მექანიზმის სრულყოფილად ამოქმედებას. გარდა ამისა, ხარისხის სამსახურმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს აკადემიურ პეროსნალთან და აუხსნას, რა მნიშვნელობა აქვს დარგობრივ მახასიათებელს, რატომ უნდა შესრულდეს ის და ასევე, რა რისკები ახლავს მის არშესრულებას. ასევე, მან ყუდარღება გაამახვილა კვლევით ნაშრომებზე, რომელთაც არ ახლდათ ანოტაციები ინგლისურად. ჯგუფის მოსაზრებით, როდესაც ნაშრომი შესრულებულია ქართულ ენაზე, მას მოკლე ანოტაცია ინგლისურად უნდა ჰქონდეს, რაზეც დაეთანხმა უნივერსიტეტი. ექსპერტმა იმედი გამოთქვა, რომ მათი შეფასება დაეხმარებოდა პროგრამას განვითარებაში. ექსპერტმა ნინო პოპიაშვილმა დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო ექსპერტთან და მათ შეაჯერეს ხედვები, რამაც მისცა შესაძლებლობა დასკვნა ყოფილიყო ყოვლისმომცველი და როგორც უკვე აღინიშნა, უსდ-მ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია. მან აღნიშნა, რომ კლასტერში პროგრამები გაერთიანებულია ფილოლოგიის ნიშნით და მოიცავს ქართულ ფილოლოგიას და ზოგად ენათმეცნიერებას. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ასპექტები, რაც ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რაც ეხებოდა ნაშრომების სტრუქტურულ, ენობრივ, ციტირების წესის და სხვა დეტალებს, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა გაამახვილა ყურადღება და უსდ-მ გაიზიარა მათი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულიად იზიარებს რეკომენდაციების ნაწილს, თუმცა რიგ საკითხებთან აქვს თავისი პოზიცია. შესაბამისად, კითხვების არსებობის შემთხვევაში დაწესებულება მზადაა გასცეს დეტალური პასუხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ ექსპერტებს დარგობრივ მახასიათებელთან შეუსაბამობის ნაწილში რამდენიმე საკითხი აქვთ განხილული, რომელთა ნაწილსაც დაწესებულება ეთანხმება. მნიშვნელოვანია, რომ დარგობრივ მახასიათებელში არის 4.5 კომპონენტი, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას, ამასთან დაკავშირებით დასკვნაში მოცემულია, რომ დაწესებულებამ უნდა გადაწყვიტოს თუ კონკრეტულად რომელ მოდელს აირჩევს თავისი რესურსებისა და პროგრამის მიზნების გათვალისწინებით. ამასთან მიმართებით, საბჭოს წევრმა აღნიშნა ,,ქართული ფოლკლორული პრაქტიკის" სასწავლო კურსი, სადაც მოცემულია რომ სტუდენტებმა უნდა წარადგინონ ფოლკლორული ნიმუშები, რის შემდეგაც რაოდენობის მიხედვით იწერება შეფასება. თუმცა, სილაბუსში არ არის მითითებული თუ როგორ ახდენს სტუდენტი ნიმუშების სისტემატიზაციას. ამასთან, უმჯობესი იქნებოდა ფოლკლორის პრაქტიკისათვის გათვალისწინებული საათები დეტალურად ყოფილიყო გაწერილი, კერძოდ ის თუ რა დროს უთმობს სტუდენტი მასალის მოპოვებას, ანალიზის გაკეთებასა და მერე წარდგენას. მან ასევე აღნიშნა, რომ დასაქმების სფეროში ჩამოთვლილია ტურიზმის მიმართულება, მუზეუმი, არქივი, ბიბლიოთეკა, ტელევიზია და ა.შ. შესაბამისად, ის დაინტერესდა, ქართული ენისა და ლიტერატურის კურსდამთავრებულმა რა პოზიციაზე შეიძლება იმუშაოს ჩამოთვლილ სფეროებში? რა კომპეტენციის და ცოდნის სტუდენტს ამზადებს პროგრამა, რომ უპრობლემოდ შეძლოს სტუდენტმა აღნიშნულ სფეროებში დასააქმება?

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა მე-19 რეკომენდაცია, კერძოდ, მოცემული რეკომენდაცია თავისი შინაარსით საკმაოდ მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამების განვითარების თვალსაზრისით, იმ უნარებისთვის რაც რეალურად ნებისმიერი თვალსაზრისით

სჭირდება დოქტორანტს. ამასთან, არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნული იყო ის არაჩვეულებრივი აქტივობები, რომელსაც ახორციელებს ინსტიტუცია, თუმცა საბჭოს წევრმა დააზუსტა ერთ-ერთი პროექტი რომლის ფარგლებშიც დოქტორანტებმა იმუშავეს მე-20 საუკუნის დასავლეთ ევროპის პირველი ნახევრის ისტორიაზე და ა.შ. მისი მოსაზრებით, პროექტი განხორციელდა არა კონკრეტულად ამ კლასტერში შემავალი პროგრამების დოქტორანდების მიერ და მიმართა უსდ-ს, დაეზუსტებინათ, კონკრეტულად, ამ კლასტერის ფარგლებში, სადოქტორო პროგრამის განმახორციელებლები რა ერთობლივ სამუშაოს ატარებდნენ დოქტორანტებთან?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსით გათვალისწინებულია პრაქტიკა, რომელიც განსაზღვრულია კურსის ფარგლებში არსებული აქტივობებით. რაც შეეხება სისტემატიზაციას, აღნიშნული ხდება ჟანრების მიხედვით. ამასთან, სილაბუსში მითითებულია, თუ შეფასების დროს მეტნაკლებად რა რაოდენობის მასალა უნდა იყოს ჩაწერილი.
რაც შეეხებოდა კურსდამთავრებულთა დასაქმებას, მან აღნიშნა, რომ ისინი მუშაობდნენ რედაქტორებად, ლიტერატურული გადაცემების წამყვანებად, არქივებში, ჟურნალისტებად, გამომცემობლებში, როგორიცაა სულაკაურის გამომცემლობა და არტანუჯი და ა.შ.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორანტები შესაძლებლობის ფარგლებში მუშაობდნენ შავ მასალაზე, აკეთებდნენ ლიცენზირებებს და ა.შ. ანუ, პროფესიულის გარდა სხვა უნარ-ჩვევებსაც ეუფლებოდნენ, რასაც შემდგომ ნაშრომზე მუშაობის დროს იყენებდნენ. ერთობლივი მუშაობა თუ მხოლოდ პუბლიკაციებს და სტატიებს გულისხმობდა, უსდ-ს ჰქონდა მაგალითები, თუმცა, რამდენადაც, თემაზე სტუდენტი დამოუკიდებლად მუშაობდა, ყველა სტატიასა და პუბლიკაციაში ხელმძღვანელთან ერთად გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელის ჩართულობა, ყოველთვის იყო ხოლმე.
გურანდა ჭელიძემ დააზუსტა, ჰქონდა თუ არა უსდ-ს ისეთი პროექტი, რომელშიც ამ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ფარგლებში არსებული დოქტორანტების მუშაობაც არის გათვალისწინებული? რასაც მოყვებოდა კონკრეტული პროდუქტი და გამოჩნდებოდა დოქტორანტის მუშაობის ხვედრითი წილი. არგუმენტირებულ პოზიციაში უსდ აღწერდა, ამ სტილის კვლევით პროექტებზე მუშაობას, თუმცა კონკრეტიკა ამ პროგრამასთან მიმართებით, არ ყოფილა. პუბლიკაციები შეიძლება იყოს ერთობლივიც და დოქტორანტის მიერ დამოუკიდებლად შესრულებულიც. ეს არ არის სავალდებულო ხასიათის, თუმცა, დოქტორანტის პუბლიკაცია, ყოველთვის აქტუალურია და ამდენად, მას აინტერესებდა ხელშეწყობის მექანიზმები, რის შესახებაც ნაწილობრივ მიიღო კიდეც პასუხი უსდ-ს წარმომადგენლებისგან.

უსდ-ს წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული მუშაობისთვის და საინტერესო რეკომენდაციებისთვის, რასაც აუცილებლად გათვალისწინებდნენ. მან ასევე აღნიშნა, რომ სამეცნიერო მუშაობის პროცესში, დოქტორანტები აქტიურად იყვნენ ჩართულები. კონკრეტულად კი, საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში, გამოიცა ერთობლივი კრებული „არჩილი და მისი რეგიონი - წარსული და თანამედროვეობა“, რომელშიც დოქტორანტების ხვედრითი წილი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამის გარდა, მაგისტრანტებისა და დოქტრანტების სამეცნიერო აქტივობაში ჩართულობას, იმითაც უწყობდნენ ხელს, რომ ყოველწლიურად ატარებდნენ ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციას, რომელზე წარდგენილი

მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომები ქვეყნდებოდა ხოლმე. შესაბამისად, მიღებული რეკომენდაციები, დაეხმარებოდა უსდ-ს კიდევ უფრო გაეუმჯობესებინათ აღნიშნული პროცესი.
უსდ-ს წარმომადგენელმა დაამატა, რომ სახელმძღვანელოში დოქტორანტები მუშაობდნენ იმ ავტორებზე, რომლებიც საკუთარი კვლევისთვის ჰქონდათ არჩეული. ასევე, კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტები მუშაობდნენ ლათინურენოვან 15-18 საუკუნეების უნიკალურ გამოცემებზე, რომლებიც აღმოაჩინეს უსდ-ს ბიბლიოთეკის რექსტრუქტურიზაციის დროს, რასაც დიდი რეზონანსი მოყვა. ამით დაინტერესდა, რისმაგ გორდეზიანი და თსუ-ს წარმომადგენლები. ისინი გეგმავდნენ ციფრული ბაზის შექმნას, რომ ეს ყველაფერი გამხდარიყო ყველასთვის ხელმისაწვდომი. პარალელურად მუშაობდნენ ლათინურ ენაზე და იღებდნენ მათთვის საჭირო ინფორმაციას.
საბჭოს წევრი, მამუკა ხუსკივაძე დაინტერესდა მე-13 რეკომენდაციით და აღნიშნა, რომ ექსპერტები უსდ-ს სთავაზობდნენ, სასწავლო კურსის „ლინგვოკულტურულოგია“ სახელწოდების ცვლილებას სახელწოდებით „ენა და კულტურა“. უსდ-ს არგუმენტირებული პასუხიდან ჩანდა, რომ მათ გაითვალისწინეს ეს რეკომენდაცია, მაგრამ შემოთავაზებული იყო საგნის სხვაგვარი ფორმულირება: ენისა და კულტურის მიმართების საკითხები და დაინტერესდა, ასეთი მიმართება თავისთავად არ ჩანდა? რატომ გახდა ასეთი დეტალიზება საჭირო და რამდენად მართებული იყო სიტყვა საკითხების გამოყენება საგნის სათაურის ფორმულირების დროს?
უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ზუსტად ასეთივე სახელწოდებით იყო საგანი ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაში „ენა და კულტურა“, ამიტომ ეს ტერმინი მათთვის მისაღები იყო, თუმცა ეცადნენ პროგრამისთვის როგორმე აეცილებინათ. ანუ, სრულიად პრაქტიკული მიზეზი ჰქონდათ ამისთვის.

უსდ-ს წარმომადგენელმა, თხოვნით მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 2023 წლის 23 მარტს, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროგრამებისთვის აკრედიტაციის უწყვეტ რეჟიმში გაგრძელება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააკმაყოფილა უსდ-ს თხოვნა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:35
დასრულების დრო: 17:42

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი.

კომპონენტი 1.4
თავიდან უნდა იქნას აცილებული სასწავლო კურსების შინაარსისა და თემატური გადაფარვა;

კლასტერის საერთო რჩევები:
სასწავლო პროგრამები უნდა იყოს შედარებული სხვა აკრედიტებულ პროგრამებთან; სასურველია, ფაკულტეტს ყველა სილაბუსი ჰქონდეს ინგლისურ ენაზე და ისინი გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.

გირჩევთ, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში აჩვენოთ, თუ გაუმჯობესების რა სფეროები გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და რა გამოცდილება იქნა გაზიარებული პროგრამაზე მუშაობისას, ასევე რა მიმართულებით განაპირობა ამ მოსაზრებებმა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში. შრომის ბაზრის კვლევა ეფუძნებოდა უფრო რაოდენობრივ კვლევას და ნაკლებად იყო ორიენტირებული კვლევის შედეგების ერთიან შეჯამებაზე და იმ გარემოებების გამოკვეთაზე, რასაც ამ ეტაპზე მოითხოვს შრომის ბაზარი ამ მიმართულებით.

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. გამოყენებული უნდა იყოს შეფასების სხვადასხვა ფორმა, რათა სწავლის სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები აკადემიური მოსწრებისთვის. სპეიალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს არა მხოლოდ ფიზიკური სირთულეები აქვთ, არამედ მნიშვნელოვანია შეფასების და პრეზენტაციის ფორმების მორგება მათ საჭიროებებზე.

პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)
რეკომენდაციები:
კოპონენტი 1.4

სილაბუსებში უნდა შევიდეს უახლესი პუბლიკაციები და შეიცვალოს რუსულ ენაზე წარმოდგენილი უფრო ძველი გამოცემები.

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნეს დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული საკითხები: ფოლკლორი, ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

გირჩევთ, რომ სასწავლო კურსის კრედიტების განაწილება იყოს შესაბამისი და თანმიმდევრული კურსის შინაარსთან, მიზნებთან, ამოცანებთან და სწავლის შედეგებთან, როგორც კურსის, ასევე პროგრამის პერსპექტივიდან.

კომპონენტი 1.5

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ქართული დიალექტოლოგია“ შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს.

რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ქართული დიალექტებისა და ქართველური ენების სტატუსის დადგენა და სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელებისას ყურადღების გამახვილება აღნიშნულ გარემოებებზე.

რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებზე თემატური გადაფარვების თავიდან აცილება.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურა ინტერნეტ სივრცეში“ გადამუშავდეს ისე, რომ დაზუსტდეს მისი მიზნები და შესაბამისობა სწავლის შედეგებთან.

რეკომენდებულია სასწავლო კურსების შევსება შესაბამისი ბიბლიოგრაფიული მონაცემებით

კომპონენტი 2.2

რეკომენდებულია, აკადემიური წერა გაუმჯობესდეს ბაკალავრიატის დონეზე.

რჩევები:
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)
კომპონენტი 1.2
საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას სასურველია დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებით განსაზღვრულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაფუძნებული წერილობითი ნაშრომის მომზადებას.

ასურველია, წერითი კომპონენტი ბაკალავრიატის დონეზე გაუმჯობესდეს. წერითი კომპონენტებისთვის მინიჭებული ქულები სასურველია გაიზარდოს. ქულების მინიჭების კრიტერიუმები სასურველია მოიცავდეს აკადემიური წერის სტილის გამოყენებას, წყაროების სათანადო ციტირებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი.

კომპონენტი 1.4
თავიდან უნდა იქნას აცილებული სასწავლო კურსების შინაარსისა და თემატური გადაფარვა;

კლასტერის საერთო რჩევები:
სასწავლო პროგრამები უნდა იყოს შედარებული სხვა აკრედიტებულ პროგრამებთან; სასურველია, ფაკულტეტს ყველა სილაბუსი ჰქონდეს ინგლისურ ენაზე და ისინი გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.

გირჩევთ, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში აჩვენოთ, თუ გაუმჯობესების რა სფეროები გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და რა გამოცდილება იქნა გაზიარებული პროგრამაზე მუშაობისას, ასევე რა მიმართულებით განაპირობა ამ მოსაზრებებმა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში. შრომის ბაზრის კვლევა ეფუძნებოდა უფრო რაოდენობრივ კვლევას და ნაკლებად იყო ორიენტირებული კვლევის შედეგების ერთიან შეჯამებაზე და იმ გარემოებების გამოკვეთაზე, რასაც ამ ეტაპზე მოითხოვს შრომის ბაზარი ამ მიმართულებით.

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. გამოყენებული უნდა იყოს შეფასების სხვადასხვა ფორმა, რათა სწავლის სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები აკადემიური მოსწრებისთვის. სპეიალური

საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს არა მხოლოდ ფიზიკური სირთულეები აქვთ, არამედ მნიშვნელოვანია შეფასების და პრეზენტაციის ფორმების მორგება მათ საჭიროებებზე.

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)
რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.4
სილაბუსებში უნდა შევიდეს უახლესი პუბლიკაციები და შეიცვალოს რუსულ ენაზე წარმოდგენილი უფრო ძველი გამოცემები.

კომპონენტი 2.2
სამაგისტრო ნაშრომებში უნდა დაიხვეწოს ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა, სამეცნიერო ტერმინოლოგია.

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)
რჩევები:
1.5 კომპონენტი
მიზანშეწონილია ზეპირი ტექსტების ღრმა და სისტემატური ანალიზის შეტანა და ქართული ლიტერატურის სწავლება მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ და მასთან დაკავშირებულ მიმართულებებში.

კომპონენტი 2.4
გირჩევთ, რომ სამაგისტრო დონის სასწავლო კურსებზე წერითი სამუშაოს მოცულობა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ კრედიტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
„ლინგვისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის

დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლინგვისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი.

კომპონენტი 1.4

თავიდან უნდა იქნას აცილებული სასწავლო კურსების შინაარსისა და თემატური გადაფარვა;

კლასტერის საერთო რჩევები:
სასწავლო პროგრამები უნდა იყოს შედარებული სხვა აკრედიტებულ პროგრამებთან; სასურველია, ფაკულტეტს ყველა სილაბუსი ჰქონდეს ინგლისურ ენაზე და ისინი გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.

გირჩევთ, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში აჩვენოთ, თუ გაუმჯობესების რა სფეროები გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და რა გამოცდილება იქნა გაზიარებული პროგრამაზე მუშაობისას, ასევე რა მიმართულებით განაპირობა ამ მოსაზრებებმა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში. შრომის ბაზრის კვლევა ეფუძნებოდა უფრო რაოდენობრივ კვლევას და ნაკლებად იყო ორიენტირებული კვლევის შედეგების ერთიან შეჯამებაზე და იმ გარემოებების გამოკვეთაზე, რასაც ამ ეტაპზე მოითხოვს შრომის ბაზარი ამ მიმართულებით.

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. გამოყენებული უნდა იყოს შეფასების სხვადასხვა ფორმა, რათა სწავლის სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები აკადემიური მოსწრებისთვის. სპეიალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს არა მხოლოდ ფიზიკური სირთულეები აქვთ, არამედ მნიშვნელოვანია შეფასების და პრეზენტაციის ფორმების მორგება მათ საჭიროებებზე.

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)
რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.4
რეკომენდებულია, სილაბუსებში შევიდეს უახლესი პუბლიკაციები და შეიცვალოს რუსულ ენაზე წარმოდგენილი უფრო ძველი გამოცემები.

კომპონენტი 2.2
რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებში დაიხვეწოს ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა, სამეცნიერო ტერმინოლოგია.

კომპონენტი 4.1
რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალი და დაბალანსდეს პერსონალის დატვირთვა.

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)
რჩევები:
კომპონენტი 1.5
გამოყენებული უნდა იქნეს უახლესი ლიტერატურა. დახვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები.

კომპონენტი 2.4
გირჩევთ, რომ სამაგისტრო დონის სასწავლო კურსებზე წერითი სამუშაოს მოცულობა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ კრედიტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-9 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების'" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი.

კომპონენტი 1.4
თავიდან უნდა იქნას აცილებული სასწავლო კურსების შინაარსისა და თემატური გადაფარვა;

კლასტერის საერთო რჩევები:
სასწავლო პროგრამები უნდა იყოს შედარებული სხვა აკრედიტებულ პროგრამებთან; სასურველია, ფაკულტეტს ყველა სილაბუსი ჰქონდეს ინგლისურ ენაზე და ისინი გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.

გირჩევთ, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში აჩვენოთ, თუ გაუმჯობესების რა სფეროები გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და რა გამოცდილება იქნა გაზიარებული პროგრამაზე მუშაობისას, ასევე რა მიმართულებით განაპირობა ამ მოსაზრებებმა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში. შრომის ბაზრის კვლევა ეფუძნებოდა უფრო რაოდენობრივ კვლევას და ნაკლებად იყო ორიენტირებული კვლევის შედეგების ერთიან შეჯამებაზე და იმ გარემოებების გამოკვეთაზე, რასაც ამ ეტაპზე მოითხოვს შრომის ბაზარი ამ მიმართულებით.

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. გამოყენებული უნდა იყოს შეფასების სხვადასხვა ფორმა, რათა სწავლის სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები აკადემიური მოსწრებისთვის. სპეიალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს არა მხოლოდ ფიზიკური სირთულეები აქვთ, არამედ მნიშვნელოვანია შეფასების და პრეზენტაციის ფორმების მორგება მათ საჭიროებებზე.

პროგრამა 4 - ქართველური ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)
რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.1
მიესადაგოს უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს ქართული ფილოლოგიაში. მახასიათებელში მითითებულია, რომ მეგრული, ლაზური, სვანური ენებია და არა ქართველური ენა-დიალექტები (მეგრულ-ლაზური, სვანური), როგორც ეს მითითებულია სასწავლო პროგრამაში- ქართული (ქართველური ენათმეცნიერება).

კომპონენტი 1.2
უსდ-მ მოარგოს სამაგისტრო პროგრამის ,,ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა" სწავლის შედეგები ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს.

კომპონენტი 1.3
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ გაიაროთ კონსულტაცია ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათბელთან დაკავშირებით და მასზე მოარგოთ სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ სასწავლო პროგრამების ყველა ასპექტსა და ნაწილში. ის ნათელია და ზედმიწევნით აღწერს სწავლის სფეროს, სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს და სხვა დამატებით ინფორმაციას.

კომპონენტი 1.4
უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში, როგორც უმაღლეს სასწავლებლების ერთ-ერთი საკვანძო დოკუმენტი, ყურადღებით უნდა იქნას დაცული ყველა ასპექტში. დარგობრივი მახასიათებელი აღწერს სწავლის სფეროს, სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებს, ასევე სხვა დამატებით ინფორმაციას. სამაგისტრო პროგრამაში მეგრული, ლაზური, სვანური მოხსენიებულ უნდა იყოს, როგორც ენები, როგორც ეს მითითებულია დარგობრივ მახასიათებელში.

კომპონენტი 1.5
უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში, როგორც უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საკვანძო დოკუმენტი, ყველა ასპექტში ყურადღებით უნდა იქნას დაცული.

რეკომენდებულია, რომ ქართველური ლინგვისტიკის სასწავლო კურსები სრულ შესაბამისობაში იყოს მოყვანილი ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან. სილაბუსებში უნდა იყოს შეტანილი უფრო ახალი პუბლიკაციები და ჩანაცვლდეს ძველი რუსულენოვანი პუბლიკაციები

კომპონენტი 2.2
რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებში დაიხვეწოს ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა, სამეცნიერო ტერმინოლოგია.

კომპონენტი 2.3
რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამაზე „ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება“ სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამებოდეს დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს მათ მიღწევას.

კომპონენტი 4.1

რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალი და დაბალანსდეს პერსონალის დატვირთვა.

პროგრამა 4 - ქართველური ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)
რჩევები:
კომპონენტი 1.1
პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს სხვა აკრედიტებული პროგრამების პროგრამულ მიზნებს.

კომპონენტი 2.4
სასურველია, , რომ სამაგისტრო დონის სასწავლო კურსებზე წერითი სამუშაოს მოცულობა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ კრედიტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების

ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი.

კომპონენტი 1.4
თავიდან უნდა იქნას აცილებული სასწავლო კურსების შინაარსისა და თემატური გადაფარვა;

კლასტერის საერთო რჩევები:
სასწავლო პროგრამები უნდა იყოს შედარებული სხვა აკრედიტებულ პროგრამებთან; სასურველია, ფაკულტეტს ყველა სილაბუსი ჰქონდეს ინგლისურ ენაზე და ისინი გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.

ასურველია , შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში აჩვენოთ, თუ გაუმჯობესების რა სფეროები გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და რა გამოცდილება იქნა გაზიარებული პროგრამაზე მუშაობისას, ასევე რა მიმართულებით განაპირობა ამ მოსაზრებებმა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში. შრომის ბაზრის კვლევა ეფუძნებოდა უფრო რაოდენობრივ კვლევას და ნაკლებად იყო ორიენტირებული კვლევის შედეგების ერთიან შეჯამებაზე და იმ გარემოებების გამოკვეთაზე, რასაც ამ ეტაპზე მოითხოვს შრომის ბაზარი ამ მიმართულებით.

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. გამოყენებული უნდა იყოს შეფასების სხვადასხვა ფორმა, რათა სწავლის სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები აკადემიური მოსწრებისთვის. სპეიალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს არა მხოლოდ ფიზიკური სირთულეები აქვთ, არამედ მნიშვნელოვანია შეფასების და პრეზენტაციის ფორმების მორგება მათ საჭიროებებზე.

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)
რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.4

რეკომენდებულია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ქართველური ლინგვისტიკის ნაწილში მოიცავდეს დარგის აღიარებულ სამეცნიერო ტენდენციებს და მიმართულებებს.

კომპონენტი 1.5

რეკომენდებულია, სილაბუსებში იყოს შეტანილი უფრო ახალი პუბლიკაციები და ჩანაცვლდეს ძველი რუსულენოვანი პუბლიკაციები.

რეკომენდირებულია სასწავლო კურსების სახელები და შინაარსი შეესაბამებოდეს სფეროში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას, რათა თავიდან იქნას აცილებული სამეცნიერო კვლევების გაურკვევლობა და მარგინალიზაცია. დახვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები. რეკომენდებული სასწავლო კურსები: „საერთო ქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემიური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“, „ქართული ტრილიტერატურული ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებაში)“ ისე გადამუშავდეს, რომ შეესაბამებოდეს ენათმეცნიერების სფეროში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას.

რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ლინგვიოკულტუროლოგია“ გადახედვა და დოქტორანტურის შესაბამისი შინაარსისა და უახლესი ლიტერატურის შეტანა.

კომპონენტი 2.2
რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომების შემუშავება თანამედროვე კვლევის დიზაინის მიხედვით. ასევე, სადოქტორო ნაშრომებს უნდა დაერთოს ინგლისური რეზიუმეები.

ეკომენდებულია, დაწესებულებამ წაახალისოს აკადემიური პერსონალი, გამოაქვეყნოს სტატიები დოქტორანტებთან ერთად. დოქტორანტებისთვის სასარგებლო იქნება მათი ხელმძღვანელის რჩევები კვლევით პუბლიკაციებში. ეს გამოიწვევს მაღალი ხარისხის პუბლიკაციებს უნივერსიტეტის სახელით.

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)
რჩევები:
კომპონენტი 1.5
სასურველია სასწავლო კურსი „ლინგვოკულტუროლოგიის“ სათაური შეიცვალოს, როგორც „ენა და კულტურა“.

17:44- საბჭოს სხდომას შეუერთდა ნინო ჭალაგანიძე
17:46- საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ღაღანიძემ

5. მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	18.01.2022, გადაწყვეტილება №38069
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასკომუნიკაციის მაგისტრი Master of Masscommunication
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77, ქ. თბილისი, მე-6 კორპ. 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ დამარინა მაისურაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულების მიზნით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სრულად გაითვალისწინა რეკომენდაციები, კერძოდ გაფართოვდა შრომის ბაზრის არეალი, მედიის კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში გაძლიერდა სალექციო თემატიკა , ასევე მრავალფეროვანი გახდა სასწავლო ლიტერატურა. არჩევითი კურსების სახით პროგრამას დაემატა ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი ,,მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები“ რეკომენდაციების გაცემის შემდეგ წარმოდგენილია ორი სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ადასტრურებს რომ მაგისტრანტები უკეთ ფლობენ აკადემიური წერის უნარებს. წარმოდგენილი მემორანდუმები დამსაქმებლებთან ადასტურებს, რომ გათვალისწინებულია და დაზუსტებულია მისაღებ სტუდენთთა რაოდენობა. შეფასების მეთოდები შეცვლილია ,,მედიის კვლევის მეთოდების“ სილაბუსსა და ,,პოლემიკურ ოსტატობაში? მოდიფიცირებული პროგრამა შეფასებულია გარე შემფასებლების მიერ, რომლებმაც პროგრამა შეადარეს იმ უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებს, სადაც მოქმედებს მსგავსი მაგისტრატურის სგანმანათლებლო პროგრამა , შესაბამისი კვალიფიკაციით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი იყო 10 რეკომენდაცია, რომლებიც სრულიად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობდა აკადემიური პერსონალის გაძლიერებას, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტს დაეზუსტებინა საკითხთან დაკავშირებით განხორციელდა თუ არა გარკვეული ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამას დაემატა ორი ჟურნალისტიკის მიმართულებით დაცული კადრი, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი შენაძენია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:55
დასრულების დრო: 17:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან

დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასალათმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	15.07.2021, გადაწყვეტილება №714481
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის დოქტორი მასალათმცოდნეობაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე, არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი № 10, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ დამარინა მაისურაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული იყო 15 რეკომენდაცია, შესაბამისად დაწესებულებას საკმაოდ დიდი სამუშაოს ჩატარება მოუწია, რის შედეგადაც რეკომენდაციების დიდი უმრავლესობა სრულიად იქნა შესრულებული უნივერსიტეტის მიერ.
ექსპერტმა აღნიშნა მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ მოცემული რეკომენდაცია სრულიად არ იქნა შესრულებული, ვინაიდან შეიცვალა დოქტორანტურის დებულება, შესაბამისად შეიცვალა დოქტორანტთა ჩარიცხვის წესი. ესაბამისად, დაწესებულებისგანცახდებთ რეკომენდაციის მიხედვით ცვლილებებივერ გატარდება, ვინაიდან საკითხები უკვე გათვალისწინებულია დოქტორანტურის ახალ დებულებაში.
ამასთან უნდა აღინიშნოს მე-14 რეკომენდაცია, რომელიც არ იქნა შესრულებული, ვინაიდნა დოქტორანტების რაოდენობა არის მცირე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვსი და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულიად ეთანხმება ექპსერტის შეფასებასა და მიგნებებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არ მომხდარა რეკომენდაციების უგულებელყოფა, უბრალოდ მასში მითითებული საკითხები დეტალურად იქნა განსაზღვრული ახალ სადოქტორო დებულებაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:07
დასრულების დრო: 18:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

7. მეშვიდე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31.12.2021, გადაწყვეტილება №1443386
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 15, ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებშ გაცემული იყო 11 რეკომენდაცია, საიდანაც, 10 შესრულდა სრულად ხოლო 1 - მეტწილად. წარმოდგენილი მასალების შედეგად, ექსპერტებს ჰქონდათ სრული წარმოდგენა უნივერისტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.
რაც შეეხება მეტწილად შესრულებულ რეკომენდაციას, ანგარიშის და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე განხ. აღნიშნული დადარება ცხადჰყოფს, რომ მაინორ პროგრამის პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის შედეგი არსებული სტრუქტურის პირობებში ვერ მიიღწევა. რათქმაუნდა, ამ უნარის გამომუშავება შესაძლებელია სხვა ძირითადი პროგრამის გათვალისწინებით, თუმცა Minor პროგრამის ფარგლებში ამ შედეგის გაწერა არ არის მიზანშეწონილი. Minor პროგრამის პროგრამას რომ ახლდეს მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა, ან სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, ეს შეუსაბამობა მკაფიოდ იჩენდა თავს. ორციელდა ეკონომიკის საბაკალავრო და Minor პროგრამების დადარება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებითსვის და რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაციის შესაბამისად, დაკორექტირდა Minor პროგრამის მიზნები და შედეგები, დაიხვეწა სტრუქტურა. პროგრამა მანამდეც გადიოდა შედეგებზე რაც ამჟამადაც უზრუნველყოფილია, ამასთან პროგრამაშ გათვალისწინებულია სასწავლო კურსების ,,ეკონომიკა 1", ,,ეკონომიკა 2", რომელიც მოიცავს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ელემენტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:21
დასრულების დრო: 18:24

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ეკონომიკის“

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

8.მერვე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31.12.2021, გადაწყვეტილება №1443177
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, №59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №1, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გაცემული იყო 12 რეკომენდაცია, საიდანაც, 10 შესრულდა სრულად ხოლო 2 - მეტწილად. წარმოდგენილი მასალების შედეგად, ექსპერტებს ჰქონდათ სრული წარმოდგენა უნივერისტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.
რაც შეეხება რეკომენდაციებს, ერთ-ერთი ითვალისწინებდა მემორანდუმებში რაონებობებებისა და ხანგრძლივობების მითითებას. წარმოდგენილი ანგარიშიდან და მემორანდუმებიდან ირკვევა, რომ მათ გარკვეულ ნაწილში გათვალისწინებულია სტაჟირების ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა. წარმოდგენილია სამი მემორანდუმი აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით. უნივერსიტეტი აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით.
ამასთან, უნდა აღინიშნოს მე-10 რეკომენდაცია, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის სათაური, შერჩევის შემდეგ, მტკიცდება ჯერ დეპარტამენტის, შემდეგ კი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. მეცნიერ-ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის განხილვამდე 5 დღით ადრე წარმოადგენს დასკვნას. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომს აფასებს დარგის სპეციალისტი, რომელიც კრიტიკულად შეაფასებს ნაშრომს და აკადემიური სტანდარტების კრიტერიუმების გათვალისწინებით წარმოადგენს რეცენზიას. რეცენზია დეპარტამეტში წარდგენილი უნდა იყოს დაცვამდე 5 დღით ადრე. დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი დაიშვება საჯარო დაცვაზე, ხოლო უარყოფითი შეფასებისას - არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე. დაცვაზე დაშვების მთავარ წინაპირობას ასევე წარმოადგენს ნაშრომის შემოწმება ანტიპლაგიატის პროგრამით. შეფასდა რა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსი, დადგინდა, რომ ის შესრულებულია შესაბამისი მოთხოვნების დაცვით. მასში წარმოგენილია ყველა მოთხოვნა, რაც წარედგინება სამაგისტრო ნაშრომს აკადემიური სტადარტების გათვალისწინებით, თუმცა საჭიროა მიეთითოს ანტიპლაგიატის პროგრამით ტექსტის დამთხვევის მაქსიმალური ზღვრული სიდიდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებითსვის და რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა გაასწორა პლაგიატის დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა ტექნიკუირ ხარვეზი, რასაც მაქსიმალურად უწევს უნივერსიტეტი მონიტორინგს.
როგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორადნუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. მემორანდუმების ნაწილში მითთებულია რაოდენობები, ამასთან არ ყოფილა პრაქტიკაში შემთხვევა, რომ პრობლემა შექმნილიყო სტუდენტის პრაქტიის ადგილთან დაკავშირებით. თუმცა ვინაიდან რეკომენდაცია მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ, მემორანდუმის განახლებასთან ერთად ასევე ჩაიწერება მოცემული ინფორმაციც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:21
დასრულების დრო: 18:24

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელწმიფო უნივერსიტეტის მიერ „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 18:26 საათზე.
აკრედიტაციის საბჭოს 23 მარტის სხდომის ოქმი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი